USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში

პროექტის შედეგების ანალიზი
2019-2023

37
პუბლიკაცია

250
მონაწილე

2000 +
ბენეფიციარი

8 რეგიონი
და თბილისი

30 +
მცირე პროექტი
და ინიციატივა

ანგარიში მომზადდა პროექტ "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას საქართველოს სოციო-პოლიტიკური პროცესებისა და დემოკრატიზაციის შესახებ, ასევე, მონაწილეების ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებასა და მათი ჩართულობის გაზრდას საჯარო ცხოვრებაში. პროექტი განხორციელდა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში

პროექტ "ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში" შედეგების ანალიზი

2023

სარჩევი

აბრევიატურები....4
მოკლე მიმოხილვა....5
ძირითადი მიგნებები....6
შესავალი....8
მეთოდოლოგია....9
    კვლევის მასშტაბი და სამიზნე აუდიტორია....10
    ფოკუსჯგუფი....11
    ჩაღრმავებული ინტერვიუ....12
ლიტერატურის მიმოხილვა....12
კვლევის შეზღუდვები....12
სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში....13
    სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი „მომავალ ლიდერთა სკოლის“ კურსდამთავრებულთა თვალით....14
ახალგაზრდების გამოწვევები რეგიონების კონტექსტში და სექტორთშორისი თანამშრომლობა....18
    სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი....19
    იმერეთის რეგიონი....20
    აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურიის რეგიონი....21
    შიდა ქართლის რეგიონი....23
    ქვემო ქართლის რეგიონი....24
    თბილისი....25
პროექტის გავლენა მონაწილეთა პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე....27
დასკვნა....31
რეკომენდაციები
    ადგილობრივი თვითმმართველობისთვის....32
    სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის....32
    კერძო სექტორისთვის....33
    დონორებისთვის....33
ბიბლიოგრაფია....34
დანართი №1 – ფოკუსჯგუფების კითხვარი....35
დანართი №2 – ჩაღრმავებული ინტერვიუების კითხვარი....38
დანართი №3 – ელექტრონული კითხვარი....38

ჩვენ შესახებ

ანგარიში „ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი საქართველოში – პროექტის შედეგების ანალიზი“ მომზადებულია პროექტის „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიში მომზადდა GIP-ის პროექტის ოფიცრების – ნინო ჯიბუტისა და გვანცა იჩქითის მიერ.

პროექტის მიზნებია: ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება საქართველოს სოციო-პოლიტიკური პროცესებისა და დემოკრატიზაციის შესახებ, მონაწილეების ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება და ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა საჯარო სექტორში. პროექტი შედგება ოთხი ძირითადი კომპონენტისგან: მომავალ ლიდერთა სკოლა (ELS) და სამუშაო თემატური ჯგუფები (WG), სივრცე დისკუსიითვის (SfD) და დემოკრატიის ახალგაზრდული ფორუმი (YDF). მომავალ ლიდერთა სკოლამ შეკრიბა საქართველოში მცხოვრები განსხვავებული გამოცდილებების მქონე აქტიური ახალგაზრდები, რომლებსაც სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ჩაუტარდათ ტრენინგი. გარდა ამისა, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, სამუშაო თემატურ ჯგუფებში მათთვის საინტერესო თემაზე ემუშავათ, მოემზადებინათ პოლიტიკის დოკუმენტი და განეხორციელებინათ ადვოკატირების კამპანიები. გამოკვეთილი მიგნებები და პოლიტიკის რეკომენდაციები ფართო საზოგადოებას წარედგინა სივრცე დისკუსიებისა და ყოველწლიური დემოკრატიის ახალგაზრდული ფორუმის ფარგლებში. განხორციელებული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბდა ELS-ის კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც აგრძელებს ახალგაზრდა ლიდერების ინიციატივებისა და მცირემასშტაბიანი პროექტების მხარდაჭერას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საერთო ჯამში, პროექტს ჰყავს 241 პირდაპირი და 2000-ზე მეტი ირიბი ბენეფიციარი - ახალგაზრდები თბილისიდან და საქართველოს რვა რეგიონიდან: ქვემო ქართლიდან, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, აჭარიდან, გურიიდან, შიდა ქართლიდან, კახეთიდან, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთიდან და იმერეთიდან.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულთა ნააზრევს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა და დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

დოკუმენტის ციტირების წესი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), "ახალგაზრდების პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში" პროექტის შედეგების ანალიზი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი, 2023.

აბრევიატურები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი
ELS	მომავალ ლიდერთა სკოლა
FES	ფრიდრიხ ებერტის ფონდი
GIP	საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
NDI	დემოკრატიის ეროვნული ინსტიტუტი
NEET	ახალგაზრდები, რომლებიც არ იღებენ განათლებას, არ არიან დასაქმებულები და არ არიან ჩართული არაფორმალურ განათლებაში
SfD	სივრცე დისკუსიისთვის
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WG	სამუშაო თემატური ჯგუფი
YDF	დემოკრატიის ახალგაზრდული ფორუმი

მოკლე მიმოხილვა

ანგარიშში შეფასებულია პროექტი „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“ სამი ძირითადი მიმართულებით: პროგრამის კურსდამთავრებულების პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობა ადგილობრივ დონეზე პროექტის დასრულების შემდეგ; განხორციელებული აქტივობების გავლენა მონაწილეების პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე; სხვადასხვა სექტორების (სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო) თანამშრომლობის მიმოხილვა და მათი როლის განსაზღვრა ახალგაზრდების პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერების კუთხით. ანგარიშში შესაბამისი სამიზნე სუბიექტებისთვის შეთავაზებულია ახალგაზრდების მოსაზრებებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების მოგვარებას.

კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა: კურსდამთავრებულებთან ფოკუსჯგუფების შეხვედრები, სამაგიდე კვლევა და ჩაღრმავებული ინტერვიუები, გამოიკვეთა ახალგაზრდების განსხვავებული დამოკიდებულებები სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისადმი. სასურველი ცვლილებების მისაღწევად მათთვის სამოქალაქო აქტივიზმი უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე პოლიტიკური საქმიანობა. ზოგადად, კვლევამ აჩვენა ახალგაზრდების ნეგატიური დამოკიდებულება პოლიტიკაში ჩართულობისადმი სხვადასხვა კულტურული თუ სტერეოტიპული ფაქტორებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლევის დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის დაბალი ხარისხი. სხვადასხვა უწყებას ხშირად არ აქვთ ინფორმაცია ერთმანეთის საქმიანობის შესახებ, რის გამოც ხდება აქტივობების გადაფარვა და რესურსების არამართებულად ათვისება. ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის წახალისებაში დიდი როლი აქვს, როგორც ქვეყნის საერთო პოლიტიკას და შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების არსებობას, ასევე – არასამთავრობო სექტორის მიერ კვლევასა და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული მდგრად შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელებას.

ძირითადი მიგნებები

ახალგაზრდებს პოლიტიკურ აქტივიზმთან შედარებით ნაკლებ სკეპტიკური დამოკიდებულება აქვთ სამოქალაქო აქტივიზმისადმი: ახალგაზრდები თავს იკავებენ რომელიმე კონკრეტულ პარტიასთან აფილირებისგან და ცდილობენ, ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ. ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური აქტივიზმი არასასურველი იარლიყების მიწებებასთან ასოცირდება.

ქვემოდან ზემოთ მართვისა და მონაწილეობის პრინციპის ნაკლებად გამოყენება ხშირ შემთხვევაში და, განსაკუთრებით, რეგიონებში, კრიტიკული აზრის გამოთქმა პიროვნულ დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული და ურთიერთთანამშრომლობა არ განიხილება ძალების კონსოლიდირების პოპულარულ გზად. ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ მათი ჩართულობა რეალურ შედეგს არ გამოიღებს, რაც შემდეგ ნიჰილისტურ განწყობებში აისახება.

პროგრამის კურსდამთავრებულთა ნაწილს მიაჩნია, რომ პოლიტიკური აქტივიზმის საშუალებით კონკრეტული შედეგების მიღწევა უფრო სწრაფად და მარტივადაა შესაძლებელი. განსხვავებით სამოქალაქო აქტივიზმისა, ახალგაზრდებს სჯერათ, რომ პოლიტიკური აქტივიზმი სასურველი შედეგის უფრო სწრაფად მიღებისათვის არის ბერკეტი. თუმცა პოლიტიკური აქტივიზმისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ახალგაზრდებს ტოვებს ცვლილეებებისა და ინიციატივების ადვოკატირების მექანიზმის გარეშე. გამოკითხული ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაცია/საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა პროექტში მონაწილეობის პერიოდში ან დასრულების შემდეგ, გაიზარდა 85%-ით. ასევე გაორმაგდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

ახალგაზრდების რეალური საჭიროებები არ არის ასახული პოლიტიკაში ხშირად ხელისუფლების მიერ შერჩეული პრიორიტეტული მიმართულებები არ შეესაბამება ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებსა და სურვილებს. გარდა ამისა, ახალგაზრდებს არ აქვთ ხელშეწყობა და რესურსები, თუნდაც მათთვის ახალგაზრდული სივრცით, რომ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების ადვოკატირება შეძლონ.

მოკლევადიან შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები ერთჯერადი ხასიათის და მდგრად შედეგებზე ნაკლებად ორიენტირებული აქტივობები ხელს უშლის ახალგაზრდების ეფექტურ ჩართულობას. ახალგაზრდებს აქვთ განცდა, რომ ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ადგილობრივად არ მიიღება, რაც, შედეგად, ახალგაზრდებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის უნდობლობას აჩენს.

გაუმართავი ინფრასტრუქტურა, რომელიც ახალგაზრდების მობილობის დამაბრკოლებელი ფაქტორია ხარისხიან განათლებაზე წვდომა და არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართულობის ხელისშემშლელი ფაქტორია გაუმართავი ინფრასტრუქტურა, მაგალითად გზების არარსებობა, მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ. რის გამოც, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდების ჩართულობის დონე სამოქალაქო ან პოლიტიკურ აქტივიზმში უფრო დაბალია მაღალმთიან რეგიონებში.

რიგ შემთხვევებში ახალგაზრდებს საბაზისო საჭიროებები არ აქვთ დაკმაყოფილებული. გარდა ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს შეიძლება საბაზისო საჭიროებები არ ჰქონდეთ დაკმაყოფილებული. მაგალითად, არსებობს სასმელი წყლის პრობლემა. გარდა ამისა, ინტერნეტი ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ფუფუნების საგანს წარმოადგენს, უინტერნეტობა კი ახალგაზრდებს ინფორმაციულ ვაკუუმს უქმნის.

ახალგაზრდებისთვის ადგილობრივად დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა ახალგაზრდებს არ ეძლევათ ადგილობრივად თავიანთი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობა, რაც მათ უბიძგებთ სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, დატოვონ რეგიონები.

ახალგაზრდების მიგრაცია სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის დაბალი დონე, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, შეუსაბამო ანაზღაურება და სამუშაო პირობები ახალგაზრდებს ატოვებინებს არა მხოლოდ რეგიონებს, არამედ ქვეყანას, რაც ხელს უწყობს ქვეყნიდან ე.წ. „ტვინების გადინებას.“

სექტორთშორისი კოორდინაციისა და კომუნიკაციის ნაკლებობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობას ართულებს მათი დაბალი ინფორმირება ერთმანეთის საქმიანობის შესახებ, რაც ხშირად აქტივობების გადაფარვას იწვევს. გარდა ამისა, სხვადასხვა სექტორი ერთმანეთს კონკურენტად აღიქვამს და რიგ შემთხვევებში, მიკერძოებულ და ნაკლებად კრიტიკულ თვალსაზრისს აფიქსირებენ. თანამშრომლობა უმეტესწილად პერსონიფიცირებულია და კონკრეტული ადამიანების ჩართულობაზეა მიბმული.

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებები ცდილობენ, დემოკრატიული გზით შეცვალონ მმართველობა და გაატარონ რეფორმები, შექმნან ძლიერი ინსტიტუციები, გააძლიერონ სამოქალაქო საზოგადოება და ხელი შეუწყონ პოლიტიკაში ახალი სახეების წინ წამოწევას. თუ საბჭოთა პერიოდის დროს რეფორმისტული იდეებით გამსჭვალული, გულანთებული ახალგაზრდებისთვის ეს შესაძლებლობა არ არსებობდა, დამოუკიდებლობის მოპოვებამ გარკვეულწილად გააჩინა შესაძლებლობები, რომ მოქალაქეზე მეტად მორგებული პოლიტიკა შექმნილიყო.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგაც კი პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის გამოწვევად რჩება სუსტი და გაუმჭვირვალე მმართველობა. პოლიტიკური ელიტები ვერ ახერხებენ მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფოების ფორმირებას ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისა თუ საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების მიუხედავად. პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც მმართველის როლში გვევლინებიან და მიზნად ისახავენ ქვეყნის განვითარებას, საბოლოო ჯამში, ძალაუფლების მონოპოლიზებას ახდენენ. შედეგად, ვერ ახერხებენ პოლიტიკური სურვილის იმგვარად განხორციელებას, რომ ხელი შეუწყონ ძლიერი ინსტიტუციების, გამჭვირვალე არჩევნების, თავისუფალი მედიისა და სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას. განვითარება ინერციით, უცხოური დონორების დახმარებით და ძალისხმევით ხდება, რაც მოქალაქეების უნდობლობას იწვევს.

NDI-ის 2022 წლის მეორე კვარტლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობის აზრით, საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება, ამასთან, მოსახლეობის უმრავლესობისთვის დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად არ მიიჩნევს, ამას თან ერთვის ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, რომლებიც სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოსახლეობას ერთნაირად აწუხებს (NDI, 2022). მსგავსი დამოკიდებულება ვლინდება IRI-ს საზოგადოებრივი აზრის 2023 წლის მარტის კვლევიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ გამოკითხული მოსახლეობის 62% მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება (IRI, 2023).

სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. აქტივიზმი მსოფლიო ქვეყნების განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, თუმცა მისი აქტუალურობა განსაკუთრებით განვითარებული სამყაროს წინაშე მდგარ გამოწვევებს უკავშირდება. ეს გულისხმობს მოქალაქეების მხრიდან პასუხისმგებლობის აღებას გადაწყვეტილებაზე და საკუთარი როლის პოვნას არსებული გამოწვევების გადაჭრის პროცესში. მოქალაქეები ცვლილებებისათვის ეძებენ ცვლილებების არაძალადობრივ, მშვიდობიან და შედეგზე ორიენტირებულ გზებს. სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის სხვადასხვა განმარტება არსებობს. ევროპის საბჭოს განმარტების თანახმად, აქტივისტი არის ის, ვინც ჩართულია რომელიმე კონკრეტული ცვლილების ადვოკატირებაში, რომელიც, როგორც წესი, პოლიტიკური ან სოციალური ხასიათისაა. აქტივიზმი კი იმ მეთოდების თუ მოქმედებების ერთობლიობაა, რომლებსაც აქტივისტი იყენებს ცვლილების განსახორციელებლად. „ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება," – ვკითხულობთ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში" (შენგელია 2020).

აქტივიზმის სხვადასხვა ფორმა, ტრადიციულად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვის, არასამართლიანი მოპყრობისა თუ დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენება. სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი არსებული გამოწვევების მოგვარების, ცვლილების ადვოკატირებისა და, ზოგადად, უკეთესი ცხოვრების პირობების შექმნას ისახავს მიზნად. თავისუფალ საზოგადოებაში სამოქალაქო აქტივიზმის წახალისება ხდება, რა დროსაც მოქალაქეებს აქვთ საშუალება, ღიად დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრება, შეეწინააღმდეგონ არასასურველ რეფორმებს, გამოთქვან პროტესტი და ამგვარად გაზარდონ მთავრობის ანგარიშვალდებულება. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო აქტივიზმი ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებისთვის არის დამახასიათებელი და გულისხმობს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში მონაწილეობას, აქტიურ მოქალაქეობას და სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიმართულებით დადებითი ცვლილებების განხორციელებას.

მეთოდოლოგია

საკითხის კვლევის მიზნით ჩატარდა შერეული – თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა. თვისებრივი კვლევა შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისგან:

- კურსდამთავრებულების მონაწილეობით ფოკუსჯგუფებთან შეხვედრა სამიზნე რეგიონებში და ონლაინკითხვარი
- საკვლევ რეგიონებში სამოქალაქო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები
- ლიტერატურის მიმოხილვა.

კვლევის მასშტაბი და სამიზნე აუდიტორია

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-35 წლის პროგრამის კურსდამთავრებულებმა სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, იმერეთიდან, შიდა ქართლიდან, აჭარიდან, გურიიდან, ქვემო ქართლიდან და თბილისიდან. საერთო ჯამში ჩატარდა 11 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა და 12 ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 116-მა რესპონდენტმა. გარდა ამისა, 221 კურსდამთავრებულმა ონლაინ კითხვარი შეავსო. ქალ და კაც მონაწილეთა რაოდენობრივი გადანაწილება განსხვავებულია (იხ. გრაფიკი #1). მონაწილე ქალთა რიცხვი ორჯერ აღემატება კაც მონაწილეთა რიცხვს. CRRC საქართველოს 2022 წლის კვლევის მიხედვით, პროექტს მეტად ჰქონდა პოზიტიური გავლენა ქალ მონაწილეებზე, ვიდრე კაცებზე (CRRC, 2022). ეს სტატისტიკური მონაცემები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ, 18-35 წლის ასაკის კაცები ნაკლებად არიან არაფორმალურ განათლებაში ჩართულობით დაინტერესებული.

გრაფიკი #1. პროექტის მონაწილეთა გადანაწილება სქესის მიხედვით



აღნიშნული ანგარიშის ძირითადი სამიზნე აუდიტორია არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს ოფისი. დოკუმენტი ასევე განკუთვნილია სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარა/გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, კერძო სექტორისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან რეგიონში ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმითა და სექტორთშორისი თანამშრომლობისა საკითხებით. გარდა ამისა, კვლევაში მონაწილეობდნენ სამიზნე რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ახალგაზრდობის სააგენტო.

პირველ რიგში, აღნიშნული ანგარიში დაეხმარება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო საქართველოს ოფისს „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“ აქტივობის შეფასებაში, პროგრამის ეფექტიანობის გაზომვაში, საკვლევ რეგიონებში გამოწვევების კონტექსტის უკეთ გააზრებასა და სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში. ანგარიში ასევე გამოსადეგი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მისაღებად, რათა გახდნენ მეტად ანგარიშვალდებულნი და შესთავაზონ ახალგაზრდებს მათზე ორიენტირებული პროგრამები და მომსახურებები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის კი ანგარიში წარმოადგენს შესაძლებლობას, გამოთქვან აზრი პრობლემური საკითხებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ.

კვლევის ანგარიში წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისა და ახალგაზრდა ლიდერებისთვის მათი მოსაზრებები ფართო აუდიტორიისთვის გასაცნობად და შეიცავს რეკომენდაციებს სექტორების მიხედვით.

ფოკუსჯგუფი

ფოკუსჯგუფების შეხვედრების ჩატარება პროგრამის კურსდამთავრებულებთან ემსახურებოდა რამდენიმე მიზანს. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას 250-მდე კურსდამთავრებული ჰყავს, ფოკუსჯგუფის შეხვედრებმა მონაწილეებს საშუალება მისცა, უფრო ვრცლად ესაუბრათ საკვლევი საკითხების გარშემო და პროგრამის სხვა კურსდამთავრებულების მოსაზრებებიც მოესმინათ.

ფოკუსჯგუფების შეხვედრებს მოდერატორი უძღვებოდა წინასწარ შემუშავებული სადისკუსიო გეგმის მიხედვით, რომელიც დაახლოებით 15 ღია კითხვას აერთიანებდა და დაყოფილი იყო სამ ძირითად ბლოკად. კერძოდ, პირველი ბლოკი ეძღვნებოდა კურსდამთავრებულების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ცნების განსაზღვრას, მეორე ბლოკი – სექტორთშორისი თანამშრომლობის საკითხს და საუკეთესო პრაქტიკებს, მესამე ბლოკი კი – პროექტის გავლენას კურსდამთავრებულების პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე, რა დროსაც კურსდამთავრებულებმა თავიანთი საქმიანობის და წარმატებული ინიციატივების შესახებ ისაუბრეს.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარისა და გურიის მონაწილეები ერთიანდებოდნენ ერთ ჯგუფში, შესაბამისად, ორივე რეგიონის წარმომადგენელი ახალგაზრდებიც ერთად გამოიკითხნენ ფოკუსჯგუფის შეხვედრის დროსაც. კვლევაში ამ ორი რეგიონის წარმომადგენლების მონაცემები ერთად არის თავმოყრილი და გაანალიზებული და აღნიშნულია, როგორც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურიის რეგიონი“.

საერთო ჯამში, გაიმართა ფოკუსჯგუფის 11 შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 104-მა კურსდამთავრებულმა. თითო ფოკუსჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდა ექვსს. რეგიონების მიხედვით მონაწილეების რაოდენობა გენდერულ ჭრილში წარმოდგენილია ცხრილ #1-ში:

რეგიონი	**მონაწილეთა საერთო რაოდენობა**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურია	13 (8 ქალი/5 კაცი)
იმერეთი	16 (11 ქალი/5 კაცი)
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17 (11 ქალი/6 კაცი)
შიდა ქართლი	14 (10 ქალი/4 კაცი)
ქვემო ქართლი	12 (8 ქალი/4 კაცი)
თბილისი	32 (20 ქალი/12 კაცი)

ცხრილი #1. მონაწილეთა განაწილება სქესის მიხედვით რეგიონულ ჭრილში

რესპონდენტების თანხმობით, შემდგომი ანალიზის მიზნით, გაკეთდა ფოკუსჯგუფების შეხვედრების აუდიოჩანაწერი და ტრანსკრიპტი. საბოლოოდ, მიღებული პირველადი მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მიდგომის გამოყენებით.

ჩაღრმავებული ინტერვიუ

სულ ჩაიწერა 12 ინტერვიუ სამიზნე რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, აქედან 5 ინტერვიუ – სამთავრობო, ხოლო 7 – არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. კვლევაში მონაწილეობდნენ რესპონდენტები შემდეგი ქალაქებიდან: ბათუმი, ქუთაისი, მესტია, ზუგდიდი, გორი, რუსთავი და თბილისი.

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების მიზნით, თითოეულმა კურსდამთავრებულმა შეავსო სპეციალურად შემუშავებული კითხვარი, რომელიც შედგებოდა ELS-მდე და შემდგომი პერიოდის პროფესიული მიღწევების შესახებ კითხვებისგან. კითხვარის შეივსო. როგორც ფიზიკურად შეხვედრების დროს, ასევე ელექტრონულად, რათა მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობა უზრუნველყოფილიყო. კითხვარის შედეგების მეშვეობით შესაძლებელია კურსდამთავრებულებზე პროექტის გავლენისა და მათი აქტივიზმის დონის შესახებ რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება კვლევაში მოყვანილი არგუმენტების გამყარების მიზნით. ჯამში კითხვარი 221-მა (ქალი – 150; კაცი – 71) მონაწილემ შეავსო, რაც კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის 92%-ს შეადგენს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ფოკუსჯგუფის ინტერვიუებს თვისებრივი ანალიზი ავსებს, რომელიც წარმოადგენს პირველადი და მეორადი წყაროების (სახელმწიფო დოკუმენტები, ანგარიშები, ინტერვიუები) შინაარსის ანალიზს. კვლევის პირველ ეტაპზე, საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ თეორიული და ემპირიული ცოდნის მიღება. ამისათვის შესწავლილ იქნა როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა და ბოლო ათწლეულში ჩატარებული კვლევები სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ.



კვლევის შეზღუდვები

მასალის სიმცირე – კვლევის ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა საკვლევი საკითხის შესახებ ლიტერატურის სიმწირე. სამაგიდე კვლევისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევა, რაც ართულებს რეგიონული კონტექსტის ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობას. ასევე, არსებული კვლევები საკმაოდ მოძველებულია და ნაკლებად ასახავს ამჟამინდელ სურათს.

რეპრეზენტაციულობა – ფოკუსჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რეგიონის 104-მა წარმომადგენელმა, ხოლო კითხვარი შეავსო 221-მა ახალგაზრდამ. უნდა აღინიშნოს, რომ ერთსა და იმავე რეგიონის ფოკუსჯგუფებში ხშირად მეორდებოდა პასუხები, რაც გარკვეული ტენდენციის გამოკვეთის საშუალებას იძლევა. მონაცემების სატურაციიდან გამომდინარე, კვლევა შეწყდა ფოკუსჯგუფის 11 შეხვედრის ჩატარების შემდე გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები თავიანთ რეგიონებში საზოგადოების აქტიურ და მოტივირებულ ნაწილს წარმოადგენენ. შესაბამისად, შედეგების განზოგადება არ იქნება მართებული და რეგიონულ ჭრილში შესაძლებელია მხოლოდ ლიდერული პოტენციალის მქონე ახალგაზრდების აქტივიზმის დონის შედარება.

დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ერთ-ერთი წინაპირობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობაა. რაც უფრო მეტად აქტიურია საზოგადოება, მით უფრო მაღალია ანგარიშვალდებულების ხარისხი და პასუხისმგებლობებიც უკეთაა გადანაწილებული. საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც ქვეყანას აქვს ევროპული პერსპექტივა და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვებას ცდილობს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდების მონაწილეობას სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში.

2017 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის „სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის“ მიხედვით, რომელშიც ჯამში 420 რესპონდენტი მონაწილეობდა ხუთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი), მონაწილე სტუდენტების 42.6%-ს საერთოდ არ განუხორციელებია სათემო აქტივობა, ხოლო 23%-ს მსგავს აქტივობებში მონაწილეობდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. კვლევაში ასევე გამოიკვეთა, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც მონაწილეობდნენ სამოქალაქო აქტივიზმში, მდედრობითი სქესის რესპონდენტებზე ორჯერ მეტია (ბეჟანიშვილი და სხვ., 2017). კვლევის შემდეგ ხუთი წელი გავიდა, შესაბამისად, რეალობა შესაძლოა შეცვლილიყო, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, – დადებითი კუთხით.

მეორე მნიშვნელოვანი კვლევა ამ საკითხზე ასევე 2017 წლის ფრიდრიხ ებერტის ფონდის პუბლიკაციაა „თაობა გარდამავალ პერიოდში“. კვლევის ჩატარების პერიოდში გამოკითხული რესპონდენტების 45% დაინტერესებული იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით. მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდების ნიჰილისტური დამოკიდებულებები პოლიტიკური საკითხების მიმართ შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მოსაზრებით, რომ ისინი ფიქრობენ მათი „ინტერესები ან არ არის საკმარისად გათვალისწინებული ან საერთოდ არაა წარმოდგენილი დღევანდელ პოლიტიკაში“. გამოკითხულთა ძალიან ცოტა – მხოლოდ 2% მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვნადაა გათვალისწინებული (ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2017).

შედარებით ახალი კვლევა, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ეხებოდა, არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) მიერ 2020 წელს შექმნილი „ახალგაზრდული მანიფესტი – იდეები საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებისთვის“. მანიფესტის შექმნაში მონაწილეობა საქართველოში მცხოვრებმა 150-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო 9 სხვადასხვა რეგიონიდან. მათ რეგიონული სამიტების ფარგლებში გამოკვეთეს 9 ძირითადი დაბრკოლება, რომლებსაც აწყდებიან ახალგაზრდები პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას. აღნიშნული კვლევის პროცესში დასახელებულ პრობლემებს შორის ვხვდებით: პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის დაბალ დონეს, ნიჰილიზმს, პარტიულ სტრუქტურაში ახალგაზრდებისთვის განვითარების შესაძლებლობის არარსებობასა და ჩაკეტილ /პოლარიზებულ პოლიტიკურ გარემოს (საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2020).

შეფასება მოიცავს: ა) გრძელვადიან გავლენას სკოლის 2020 წლის ნაკადის მონაწილეებზე; ბ) მოკლევადიან გავლენას სკოლის 2021 წლის მონაწილეებზე (CRRC, 2022).

სამოქაღაქო და პოღიტიკური აქტივიზმი „მომავაღ ღიღერთა სკოღის“ კურსღამთავრებუღთა თვაღით

CRRC საქართველოს მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, პროგრამას ჰქონდა პოზიტიური მოკლევადიანი გავლენა მონაწილეების სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით (გაზრდილი მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო ორგანიზაციებში), თუმცა ეს ტენდენცია იკლებდა გრძელვადიან პერსპექტივაში (CRRC, 2022).

ფოკუსჯგუფების შეხვედრის მონაწილეებს ცალ-ცალკე უნდა განემარტათ სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ცნებები, მათთან დაკავშირებული აქტივობები და ასევე აეხსნათ, თუ რამდენად ფარავდა ეს ორი ცნება ერთმანეთს. მონაწილეების უმეტესობის თქმით, სამოქალაქო აქტივიზმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე პოლიტიკური აქტივიზმი. სამოქალაქო აქტივიზმი იდეოლოგიზებული არ არის, მაშინ როცა პოლიტიკურში ეს ასპექტი მძაფრად იგრძნობა. მონაწილეების უმრავლესობა თანხმდება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი კონკრეტული ჯგუფების პრობლემატური საკითხების წინ წამოწევას, მათ ლობირებასა და ადვოკატირებას უკავშირდება. აქტივიზმის საბოლოო მიზანი საზოგადოებრივი კეთილდღეობის და, ზოგადად, საზოგადოების პირობების გაუმჯობესებას ემსახურება. მონაწილეები ფიქრობენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმი თვითშეგნების საკითხია და არ უკავშირდება პოლიტიკას.

სამოქალაქო აქტივიზმის ასოციაციები

მონაწილეების აზრით, საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი ასოცირდება დაპირისპირებასთან, რომლის დროსაც გამოსავალსა და კონსენსუსზე არც სამთავრობო და არც არასამთავრობო სექტორი არ არის ორიენტირებული. ისინი თვლიან, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა და მსჯელობა ჯერ კიდევ უჭირთ პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივისტებს.

ახალგაზრდების თქმით, სამოქალაქო აქტივიზმი მოითხოვს, როგორც ადამიანური, ისე დროითი და ფინანსური რესურსების მობილიზებას. სამოქალაქო აქტივიზმით შესაძლებელია მთავრობა მეტად ანგარიშვალდებული გახდეს მოქალაქეების წინაშე. მონაწილეები თანხმდებიან, რომ სამოქალაქო აქტივისტები უნდა იყვნენ კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულნი და არა – ძალაუფლებისკენ სწრაფვით დაინტერესებულნი.

პოლიტიკური აქტივიზმის ასოციაციები

პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ, სხვადასხვა აქტივობები განეხორციელებინათ მათთვის საინტერესო სამიზნე აუდიტორიასთან. მათი ინიციატივები ეხებოდა შემდეგ სამიზნე ჯგუფებს: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, შშმ პირებს, ბავშვებს, ქალებს, NEET ახალგაზრდებს, მაღალმთიან და საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს (იხ. გრაფიკი #2).

გრაფიკი #2. პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ განხორციელებული აქტივობების ბენეფიციარები



მონაწილეების უმრავლესობა თანხმდება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი ნიშნავს იმას, რომ რიგითმა მოქალაქემ ხმა აიმაღლოს იმ საკითხებზე, რომლებიც აწუხებს და როგორც მოქალაქემ, დადებითისკენ შეცვალოს თემი, რომელსაც ეკუთვნის. ფოკუსჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმი პოლიტიკის ცვლილების კატალიზატორია. ზოგიერთი მათგანისთვის სამოქალაქო აქტივიზმი სოციალური საკითხების წინ წამოწევასთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს გზას, ადგილობრივ თუ ცენტრალურ მთავრობას არ მისცეს მოდუნების საშუალება. სამოქალაქო აქტივიზმი მონაწილეებისთვის საერთო იდეის გარშემო თანამოაზრეების გაერთიანებასთან ასოცირდება, რათა სათქმელი გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე სწორად და ეფექტურად მიიტანონ. თუმცა, პროექტის მონაწილეების ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკური აქტივიზმი არ არის გამიჯნული სამოქალაქო აქტივიზმისგან. მეტიც, მონაწილეების თქმით, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აბალანსებენ. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია რაიმე ცვლილება მხოლოდ სამოქალაქო აქტივიზმით, პოლიტიკურ პარტიაში ყოფნა კი ცვლილებებისათვის ერთგვარ ასპარეზს ქმნის.

პროექტის კურსდამთავრებულებიდან ყველას, პროფესიული საქმიანობის კონკრეტულ ეტაპზე, მინიმუმ ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა სამოქალაქო აქტივიზმისკენ მიმართულ ღონისძიებაში. აქტივიზმის სხვადასხვა ფორმებს შორის უმრავლესობამ დაასახელა, რომ მათ დაუგეგმავთ საპროტესტო აქციები ან მონაწილეობა მიუღიათ სხვადასხვა ადგილობრივ აქციებში, მანიფესტისა და პეტიციის მომზადებაში, სახალხო კრებაში, დასწრებიან ბიუჯეტის განხილვას და შეუგროვებიათ ხელმოწერები. ფოკუსჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ სამოქალაქო აქტივიზმი არის პლატფორმა, შეცვალო და წინ წამოწიო კონკრეტული ჯგუფების საჭიროებები. სამოქალაქო აქტივისტებს ქვეყანაში არსებული არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ფონი უბიძგებს, ხმა აიმაღლონ არსებული გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის მიზნით. მონაწილეები თვლიან, რომ სამოქალაქო აქტივიზმში გამორჩეული უნდა იყოს არაიდეოლოგიზებული, არაპარტიული და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება, რომელიც მიუკერძოებლად და ობიექტურად წამოწევს პრობლემურ საკითხებს.

საერთო გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ ყველა რეგიონისთვის ადგილობ-რივად არ ხდება პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის წახალისება; ამასთან, კრიტიკული აზრის გამოთქმა პიროვნულ დაპირისპირებასთან არის ასოცირებული. თანამშრომლობა და ერთად მუშაობა საკითხებისადმი არ განიხილება ძალების კონსოლიდირების პოპულარულ გზად.

განსხვავებით პოლიტიკური აქტივიზმისა, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმისადმი დამოკიდებულებაში გაცილებით დადებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მაგალითისთვის, მონაწილეთა რაოდენობა, რომლებმაც არასამთავ-რობო ორგანიზაცია დააარსეს/წამოიწყეს სამოქალაქო ინიციატივა 85%-ით გაიზარდა. ასევე, გაორმაგდა იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში. შედარებით მცირე, თუმცა ზრდა შეინიშნება ახალგაზრდების საჯარო განხილვებში მონაწილეობის კუთხით. აღსანიშნავია 30%-იანი ზრდა ახალგაზრდების მიერ საკუთარი ინიციატივების განხორციელების მიმართულებითაც (იხ. გრაფიკი #3).

გრაფიკი #3. ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმში ჩართულობა



ფოკუსჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ პოლიტიკური აქტივიზმი და/ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან აფილირება არ არის მომხიბვლელი ახალგაზრდებისთვის. მათი აზრით, საქართველოში პოლიტიკური აქტივიზმი დაკავშირებულია რომელიმე პარტიის იდეოლოგიასთან და პარტიულ საქმიანობაში ჩართვასთან. მონაწილეების უმრავლესობის თქმით, პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის ნაკლებობა, ნიჰილიზმი, განცდა იმისა, რომ მათი ხმა ცვლილებას ვერ მოიტანს, აიძულებს ახალგაზრდებს, თავი პოლიტიკური საქმიანობიდან შორს დაიჭირონ და სრულიად გაემიჯნონ ამ სფეროს. როცა სამოქალაქო აქტივისტები გადადიან პოლიტიკური აქტივისტების რიგებში, ისინი ხშირ შემთხვევაში სახელისუფლებო კრიტიკას არბილებენ. თავის მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს ახალგაზრდების შენარჩუნება უჭირთ, რადგან პარტიულ პოლიტიკაში ჩართვა ახალგაზრდების მოლოდინებს ვერ ამართლებს, მათ არ ეძლევათ საშუალება, განვითარდნენ, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ და ახალი გამოცდილებები მიიღონ. პოლიტიკურ პარტიებში, მერიტოკრატიის პრინციპით, ისინი ვერ მოახერხებენ თავიანთი, როგორც პოლიტიკოსის კარიერა, განავითარონ. მონაწილეების ნაწილი თვლის, რომ სამოქალაქო აქტივიზმი ერთგვარად წარმოადგენს ტრამპლინს პარტიულ საქმიანობაში ჩართვისთვის, რადგან ხშირად სამოქალაქო აქტივიზმით იწყებენ პოლიტიკოსები თავიანთ პოლიტიკურ კარიერას. თუმცა, სიკეთე, რომელსაც პარტიული მიკუთვნებულობა სთავაზობს მათ, არის ოფიციალურ გაერთიანებაში, მაგ. პარტიის წევრის ფორმატით ჩართვა და თანამშრომლობა სხვადასხვა სტრუქტურასთან. ეს ერთგვარად ანიჭებს მათ მანდატს, გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილებაზე. ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური პარტიულობა იარლიყების მიწებებასთან ასოცირდება, რაც პარტიულ საქმიანობას არასასურველს ხდის მათთვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებს აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ, ამის ილუსტრაციაა პროექტის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გამოკითხვა, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ პროექტის დასაწყისში (2019 წელი), მონაწილეების 10% იყო უშუალოდ ჩართული პარტიულ საქმიანობაში, ხოლო კვლევის ჩატარების პერიოდისთვის, ეს რიცხვი 0.2%-ით შემცირდა (იხ. გრაფიკი #4).

გრაფიკი #4 პოლიტიკურ აქტივიზმში ჩართულობა



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „მომავალ ლიდერთა სკოლის“ 11 კურსდამთავრებული სხვადასხვა რეგიონიდან, პროექტის მიმდინარეობისას, შეუერთდა სხვადასხვა პარტიას და მათი ნაწილი 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მონაწილეებმა არა მარტო თეორიული კუთხით გაიღრმავეს ცოდნა, არამედ პრაქტიკულად შეძლეს პოლიტიკური პარტიებთან ემუშავათ და წინასაარჩევნო კამპანიები ეწარმოებინათ. რამდენიმე მათგანი მოხვდა კიდეც საკრებულოში და ადგილობრივად ცდილობს არსებული პრობლემების ადვოკატირებას.

ახალგაზრდების გამოწვევები რეგიონების კონტექსტში და სექტორთშორისი თანამშრომლობა

ახალგაზრდების გამოწვევების კვლევის მიზნით, ინტერვიუები ჩატარდა, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართა მერიის ახალგაზრდული განყოფილებების ხელმძღვანელებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ახალგაზრდული საკითხების ლობირებაზე მუშაობენ. ერთ-ერთი მთავარი საკვლევი საკითხი რეგიონში არსებული გამოწვევები იყო, რომლებსაც ახალგაზრდები აწყდებიან სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის კუთხით. ასევე, განხილული იყო ახალგაზრდების ზოგადი საჭიროებები, რათა ჩართული იყვნენ ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ რეკრეაციულ აქტივობებში. ყოველ რეგიონს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეული საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული გამოწვევები აქვს. ერთ-ერთ საერთო გამოწვევად ახალგაზრდებმა დაასახელეს სექტორთშორისი თანამშრომლობა, რომელიც დეტალურად არის მიმოხილული წინამდებარე თავში.

საერთო მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია რესურსების კონსოლიდირება და სექტორებს შორის თანამშრომლობა. სამოქალაქო, სამთავრობო და კერძო სექტორებმა თავიანთი როლი უნდა გაიაზრონ რეგიონული განვითარების პროცესში, რომელიც კოჰაბიტაციის, კონსენსუსის პოვნისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა.

არასამთავრობო სექტორს მნიშვნელოვანი როლი აკისრია დემოკრატიის დაცვისა და განვითარების საკითხში. ისინი საერთაშორისო თანამეგობრობისა თუ დონორების დახმარებით ახდენენ რესურსების მობილიზებას სოციალური და ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებისათვის. 2019 წელს გამოცემულ საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოწვევად რჩება კერძო სექტორთან თანამშრომლობა, შემდეგ კი – სამთავრობოსთან. არასამთავრობო სექტორს, ძირითადად, ურთიერთობა აქვს მედიასა და საერთაშორისო პარტნიორებთან, თუმცა ნაკლებად თანამშრომლობენ სხვა სამოქალაქო ჯგუფებთან (კვაშილავა და სხვა 2019). კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა განპირობებულია იმით, რომ ამ ტიპის ურთიერთთანამშრომლობამ, შესაძლოა, მათი რეპუტაცია შელახოს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბიზნესსექტორის წარმომადგენლები არასამთავრობო სექტორს მიკერძოებულ სუბიექტებად მიიჩნევენ. ამ თავში გაანალიზებულია რეგიონული კონტექსტი ახალგაზრდების გამოწვევებსა და სექტორთშორისი თანამშრომლობის საკითხებზე.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

სამეგრელო-ზემო სვანეთში როცა ახალგაზრდების გამოწვევებზე და მათი ინტერესის გათვალისწინების საკითხზე ვსაუბრობთ, ახალგაზრდები პრობლემად ასახელებენ ქვემოდან ზემოთ მართვისა და მონაწილეობის პრინციპის ნაკლებად გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

რეგიონში გამოიკვეთა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სხვა სოციალური თუ კულტურული წინაღობები, რომლებსაც ახალგაზრდები ყოველდღიურად აწყდებიან. ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ წვდომა ხარისხიან განათლებაზე, სტუდენტები არსებული სოციალური თუ კულტურული სტერეოტიპების გამო ვერ იღებენ იმ სიკეთეებს, რომლებსაც უნივერსიტეტი სთავაზობს, მაგალითად, სტუდენტური საცხოვრებელში დარჩენა გოგონებისთვის და ა.შ. ასევე, გამოწვევად რჩება უმუშევრობა. არაფორმალურ განათლებაზე ყველა ახალგაზრდას არ მიუწვდება ხელი. ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩაბმა ან პოლიტიკური აქტივიზმის ხელშეწყობა არ ხდება, პირიქით, ისინი ერიდებიან ამ სახის აქტივობებში ჩართვას განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახის წევრები საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი.

რაც შეეხება სექტორთშორის თანამშრომლობას, ზუგდიდის მერიას სხვადასხვა არასამთავრობო და კერძო სექტორთან მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. ისინი არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ უცხოელი დონორებისა თუ საელჩოების დახმარებით. ინიციატივის ავტორები სტრუქტურებში დასაქმებული ახალგაზრდები (25-35 წლის) არიან. ისინი სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას ამა თუ იმ ასაკობრივი კატეგორიის პირებს საჭიროებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ინიციატივებს, ახალგაზრდული სათათბირო, რომელიც 14-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე მუშაობს, არაერთ ინიციატივას ახორციელებს, როგორც მერიის, ასევე – საერთაშორისო დონორების დახმარებით. გარდა ამისა, ადგილობრივად მერია სთავაზობს ახალგაზრდებს თანადაფინანსებით პროექტებს ადგილობრივი თემის განვითარების მიზნით. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სექტორთშორისი თანამშრომლობა უმეტესწილად პირად კონტაქტებზეა დამოკიდებული. ორგანიზაციები კი, რომლებიც მჭიდროდ იწყებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ხშირად მიკერძოებულები და ნაკლებად კრიტიკული შემფასებლები ხდებიან თვითმმართველი ორგანოს საქმიანობისა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ფოკუსჯგუფის შეხვედრის დროს, აღინიშნა, რომ საჯარო სტრუქტურები საზოგადოებასთან ურთიერთობისას არ იყენებენ მათვის გასაგებ კომუნიკაციის საშუალებებსა და ენას.

> *საჯარო დაწესებულებები მოსახლეობას ინფორმაციას მათთვის გასაგები ენით და შესაბამისი პლატფორმების საშუალებით არ აწვდის.*
>
> *ექსპერტი, 29 წლის*

იმერეთის რეგიონი

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდული საჭიროებების კვლევისა და მათი გამოწვევების ადვოკატირების კუთხით, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება ვერ ხდება.

ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტულად მიიჩნევს ახალგაზრ-დული ბანაკების ორგანიზებას, ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერასა და სხვადასხვა ფესტივალის დაგეგმვას.

არასამთავრობო სექტორი უფრო მრავალფეროვან აქტივობებსა და ღონისძიებებს სთავაზობს ადგილობრივ ახალგაზრდებს. როგორც არაფორმალური განათლების კუთხით, ასევე – ახალგაზრდული სივრცის უზრუნველყოფის სახით. ერთ-ერთ ადგილობრივ ორგანიზაციაში არის საშუალება, ახალგაზრდებმა გამართონ დისკუსია, მიიღონ მონაწილეობა დაგეგმილ აქტივობებში და დასახონ სამომავლო გეგმები. ახალგაზრდებს სურვილი აქვთ, უფრო მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან. ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად იმერეთის რეგიონში მიჩნეულია ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა და რესურსების სიმწირე.

> *უმეტესად ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ღონისძიებებში იგულისხმება გასართობი აქტივობები, რაც არ შეესაბამება ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებებს.*
>
> *ექსპერტი, 35 წლის*

იმერეთის რეგიონში სხვადასხვა სექტორებს (კერძო, სამთავრობო და სამოქალაქო) შორის თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივის ფარგლებში, რომლებიც უცხოური დონორის მიერაა დაფინანსებული. თუმცა არსებობს ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის უფრო ეფექტურ თანამშრომ-ლობას.

ფოკუსჯგუფების მონაწილეების თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა გახსნილია სათანამშრომლოდ, თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ პერსონალური კონტაქტებით უფრო მარტივია თანამშრომლობა და შეთანხმების მიღწევა კონკრეტული საკითხის გარშემო. პრობლემურ საკითხად ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე კადრების ხშირი ცვლილებაა, რაც ართულებს გრძელ ვადაში თანამშრომლობის შენარჩუნებას. კადრების ხშირი ცვლილებაც ნდობის მოპოვების პროცესს ახანგრძლივებს. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლებში საკმარისზე მეტი კადრია დასაქმებული, ხშირად დამოკიდებულება პასუხისმგებელი პირების მიმართ საქმისადმი გულგრილია.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხშირია მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მაგალითები. მაგალითად, ქუთაისისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები წარმატებით თანამშრომლობენ და საერთო ინიციატივებსაც ახორციელებენ. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, ის შემოიფარგლება საკონსულტაციო ტიპის შეხვედრებით და საერთო ინიციატივებით, რომლებსაც ისინი ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურიის რეგიონი

აჭარაში ყველაზე დიდ პრობლემას გაუმართავი ინფრასტრუქტურა და, შესაბამისად, შეზღუდული მობილობა წარმოადგენს. რესპონდენტების თქმით, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით, მაღალმთიან ადგილებში, ახალგაზრდების ჩართულობასა და აქტივიზმზე უარყოფითად მოქმედებს. ხშირად სოფლებში მოსახლეობას ისეთი საბაზისო საჭიროებები არ აქვს დაკმაყოფილებული, როგორებიცაა: სასმელი წყლის მიწოდება, სავალი გზები და ა.შ. შედეგად, სამოქალაქო თუ პოლიტიკური აქტივიზმი სოფელში ცხოვრების მძიმე პირობებისა და ფიზიკური შრომის ფონზე მეორეხარისხოვანია.

პრობლემაა ასევე ინტერნეტთან წვდომა, რომელიც კონკრეტულ რაიონებში ან საერთოდ არ არის ან ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფუფუნების საგანს წარმოადგენს. უინტერნეტობა კი პირდაპირ კავშირშია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასთან. შესაბამისად, ბევრი ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ არ არის რაიმე კონკრეტულ ღონისძიებაში ჩართული, რომ უბრალოდ შესაბამისი ინფორმაცია არ აქვს.

როგორც სხვა რეგიონებში, აჭარაშიც გამოიკვეთა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობის/არარსებობის საკითხი. პატარა ქალაქებსა თუ სოფლებში არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობასა და სამომავლო გეგმების დასახვას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი აქტივობა, რომლებიც შინაარსობრივად ახალგაზრდებისთვის იგეგმება, ერთჯერადი ხასიათისაა და ნაკლებად არის ორიენტირებული მდგრად შედეგებზე. როგორც წესი, ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ცენტრში მიიღება, აქტივობებს არ აქვს განგრძობადი ხასიათი და ეს იწვევს უნდობლობას მონაწილეების მხრიდან. საბოლოოდ, ახალგაზრდები მათი ჩართულობის მნიშვნელობას ვერ ხვდებიან, ვინაიდან შედეგი გაწეული შრომის საპირწონე არაა.

დაბოლოს, აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ სერიოზულ პრობლემური საკითხია საზოგადოების მენტალობა და გენდერული სტერეოტიპები. რესპონდენტების თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც გოგონებს ოჯახის წევრები არ უშვებენ ტრენინგებზე, მით უმეტეს, თუ აქტივობა სხვა ქალაქში არის დაგეგმილი და ღამისთევით წასვლაა საჭირო. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გადამწყვეტი როლი აქვს განმახორციელებელი ორგანიზაციის სტატუსს. თუკი ორგანიზაციას კარგი რეპუტაცია აქვს, ამ შემთხვევაში მეტი შანსია, რომ ოჯახი დათანხმდეს გოგონას გაშვებას კონკრეტულ ღონისძიებაზე.

> *„ეს ტახდება ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და, ძირითადად, უცხოური დონორების დაფინანსებული პროექტები ერთჯერადი, ერამდგრადი ხასიათისაა.“*
>
> *რესპონდენტი, 22 წლის*

აჭარის რეგიონში, რესპონდენტებმა, სექტორთშორისი თანამშრომლობის საკითხზე საუბრისას, ორი მიმართულება მიმოიხილეს: თანამშრომლობა სამოქალაქო და საჯარო სექტორს შორის და თანამშრომლობა კერძო სექტორსა და არასამთავრობო სექტორს შორის.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ წლების განმავლობაში პროგრესი არის, თუმცა თანამშრომლობა ჯერ კიდევ არ არის თემის განვითარებისათვის ეფექტური. ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობის ორივე მიმართულებას თავისებურებები ახლავს. მაგალითად, სამოქალაქო სექტორის მოსაზრებით, სამთავრობო ინსტიტუტები არ არიან ღია განსხვავებული აზრისადმი და ოპონენტებად აღიქვამენ მათ. თუმცა, გამოცდილება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების თანამშრომლობისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი კონტაქტები და ორგანიზაციის რეპუტაცია. მაგალითად, აჭარაში მოქმედი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ამ კონკრეტულ ორგანიზაციას საკმაოდ დიდი ძალაუფლება აქვს და შეუძლია ზემოქმედება ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღებაზე.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, დღესდღეობით სამოქალაქო საზოგადოება არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, ორგანიზაციები ხშირად იცვლიან პოზიციებს. ისინი ადგილობრივების საჭიროებებს აღარ უპასუხებენ და სუბიექტურ გადაწყვეტილებებს იღებენ. საბოლოო ჯამში, ეს არასამთავრობო სექტორსა და საზოგადოებას შორის ნდობაზე უარყოფითად მოქმედებს.

კერძო სექტორთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ თუ კონკრეტულმა პირმა სამოქალაქო საზოგადოებიდან გადაინაცვლა ბიზნესსექტორში, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოხატავს მხარდაჭერას არასამთავრობო სექტორის მიმართ; სხვა შემთხვევაში თანამშრომლობა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

გურიაში არასამთავრობოსა და სამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის უკეთესი პრაქტიკა აღმოჩნდა. ადგილზე გააზრებული აქვთ, რომ სექტორთშორისი თანამშრომლობით უკეთეს შედეგებს იღებენ და ღიაობაც მეტია.

ზოგადად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თანამშრომლობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია კონკრეტული ორგანიზაციებისა და პიროვნებების რეპუტაცია და პირადი კავშირები. როგორც წესი, ახალ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაგალითები ნაკლებია, ვინაიდან სხვადასხვა სექტორს შორის ნდობა და სამუშაო გამოცდილება არ არის ჩამოყალიბებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაკლებად წარმატებულია სხვა ქალაქებსა/ცენტრსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და საერთო პროექტების განხორციელება. ეს გამოწვეულია იქიდან, რომ ხშირად სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა არ იციან ადგილობრივი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, შესაბამისად, პროექტები თავიდანვე არასათანადოდ იგეგმება და ხშირად მდგრადობის კომპონენტი აკლია.

შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლის რეგიონში, რესპონდენტების მიერ ყველაზე მწვავე გამოწვევად ადგილობრივად დასაქმების საკითხი დასახელდა. შეუსაბამო ხელფასი, სამუშაო ადგილების არარსებობა და პოტენციალის რეალიზების შეუძლებლობა იწვევს იმას, რომ ახალგაზრდები აღარ რჩებიან რეგიონში.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა. ახალგაზრდებს, გარდა იმისა, რომ შეკრების და სხვადასხვა საკითხების განხილვის სივრცე ესაჭიროებათ, არ აქვთ გასართობი ადგილების არჩევანი, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონიდან ახალგაზრდების გადინებას. ამას ემატება ისიც, რომ ტრანსპორტის სისტემა არ არის გამართული, განსაკუთრებით სოფლებთან დამაკავშირებელ გზებზე, რაც ახალგაზრდებს თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავს.

ინტერნეტის პრობლემა შიდა ქართლის რეგიონშიც დგას, განსაკუთრებით, ოკუპირებულ ხაზთან მდებარე სოფლებში, რაც ახალგაზრდების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ამწვავებს. შედეგად, ახალგაზრდები იმდენად არიან ყოველდღიური საბაზისო პრობლემების მოგვარებასა და ფიზიკურ შრომაში ჩაბმულნი, რომ ნაკლებად აქვთ პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტივიზმის ინტერესი.

> *„ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემაა ბევრ სოფელში, ის ფუფუნების საგანს წარმოადგენს და, შესაბამისად, ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაციაზე წვდომის საშუალება.“*
>
> *რესპონდენტი, 27 წლის*

შიდა ქართლში ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა სექტორთშორისი თანამშრომლობა მეტ-ნაკლებად დადებითად შეაფასეს, თუმცა ახსენეს, რომ ამ თანამშრომლობის მოტივი სხვადასხვა ტიპის სარგებლის მიღებაა. მათი თქმით, ხშირია ფაქტები, როდესაც თანამშრომლობა ფასადურია და, რეალურად, არ აინტერესებთ ერთმანეთის აზრი, რასაც საბოლოოდ არასახარბიელო შედეგამდე მივყავართ. მეორე უკიდურესობაა, როდესაც გარკვეულ საბჭოებში, რომლებიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით, ნაკლებად ისმის ხოლმე კრიტიკული შეფასებები პიროვნული ურთიერთობების შესაძლო გაუარესების თავიდან აცილების მიზნით.

ადგილობრივად ახალგაზრდების წახალისება არ ხდება და იყენებენ, განსაკუთრებით, – წინასაარჩევნო პერიოდში. ახალგაზრდების აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ, რაც, თავის მხრივ, ნიჰილისტური განწყობების გაძლიერებას იწვევს. ადგილობრივი ახალგაზრდების აზრით, არჩევნების შემდეგ არსებობს გარკვეული პერიოდი, როდესაც ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ისმენს საზოგადოების აზრს, თუმცა ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, შორდება ხალხს და თავის დღის წესრიგს მიჰყვება. აქაც, ისევე, როგორც სხვა რეგიონებში, წარმატებული თანამშრომლობის პროცესში ხაზი გაესვა პირად კავშირებს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან.

შიდა ქართლში გამოიკვეთა ასევე მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამ-შრომლობის საჭიროება და მნიშვნელობა. კურსდამთავრებულთა აზრით, ერთი და იმავე რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა გადამწყვეტია რეგიონის განვითარებისთვის.

მოქალაქის პასუხისმგებლობა, როგორც ფაქტორი, განსაკუთრებით აღინიშნა შიდა ქართლში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში და ხაზი გაესვა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი რესურსების გააზრება და ამ ყველაფერში მონაწილეებისგან პასუხისმგებლობის შეგრძნება, რომ იყვნენ აქტიურები და მიღებული ცოდნა გაუზიარონ თავიანთი თემის წევრებს.

რაც შეეხება კერძო სექტორთან თანამშრომლობას, რესპონდენტების აზრით, ადგილობრივ ბიზნესებთან თანამშრომლობა უფრო მარტივია, ვიდრე საჯარო უწყებებთან. თანამშრომლობის წინაპირობად, კურსდამთავრებულები ნდობის არსებობას თვლიან, რომელიც ამჟამად არ არის საკმარისად მყარი. შესაბამისად, თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, სწორედ ნდობის აღდგენა-გაღრმავებაზე მუშაობა არის საჭირო.

ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის ახალგაზრდებისთვის დედაქალაქთან სიახლოვე გავლენის მომხდენი ფაქტორია, რომელიც, ერთი მხრივ, შესაძლოა, დადებითი კუთხით განვიხილოთ, თუმცა, მეორე მხრივ, მას ნეგატიური ზემოქმედება აქვს ახალგაზრდებისთვის აქტივობების ადგილობრივად ორგანიზებაზე. დედაქალაქთან სიახლოვე უბიძგებს ახალგაზრდებს, შესაძლებლობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მეტად იყვნენ ჩართულნი დედაქალაქში მიმდინარე ღონისძიებებში და ნაკლებად – უშუალოდ რუსთავში მიმდინარე აქტივობებში. ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება სწორედ ამ ტენდენციის შეცვლის მიზნისკენ უნდა იყოს მიმართული.

გასულ რამდენიმე თვეში, რიგი ღონისძიებები მოეწყო ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ემსახურებოდა მათთვის ადგილზე ინიციატივების შეთავაზებას და სხვადასხვა ინიციატივაში აქტიურად ჩართვით დაინტერესებას.

ახალგაზრდული სივრცის არარსებობა რუსთავის შემთხვევაში სირთულეს არ წარმოადგენს. რუსთავს გამორჩეულად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და აქტივისტები ჰყავს, რომლებიც ეკოლოგიური საკითხების ადვოკატირების მიზნით წლის განმავლობაში სხვადასხვა სექტორის დახმარებით არაერთ აქტივობას გეგმავს და ახორციელებს.

სექტორთშორის თანამშრომლობაზე საუბრისას, რუსთავის მუნიციპალიტეტის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ მერია და, კონკრეტულად, ახალგაზრდული დეპარტამენტი ღიაა სიახლეებისა და ინიციატივების მიმართ.

მონაწილეების აზრით, უკეთესი იქნება, თუ კერძო და საჯარო სექტორი სხვადასხვა ინიციატივების ფარგლებში მეტად ითანამშრომლებენ: საერთო პროექტებს დაგეგმავენ და განახორციელებენ. ასევე, უფრო მეტად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით. ახალგაზრდების თქმით, ბოლო დროს გახშირდა კერძო სექტორის ჩართულობის შემთხვევები და მათი დაფინანსებით სხვადასხვა საერთო ინიციატივების განხორციელება. სამთავრობო და კერძო სექტორს შორის ხშირია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, რეკრეაციული თუ კულტურული ღონისძიების ფარგლებში თანამშრომლობა. რუსთავში ისეთი ორგანიზაციების სიმცირეა, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდულ საკითხებზე და მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის ფორმირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები აქტიურობით გამოირჩევიან თავიანთ თემში არსებული გამოწვევების ადვოკატირების მიმართულებით, ისინი ნაკლებად იყვნენ ჩართული პროექტის აქტივობებში. აღნიშნულ კვლევაში მათი პერსპექტივა არ არის სრულფასოვნად წარმოჩენილი, რაც გამოწვეულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პასიურობით კვლევის განხორციელების ეტაპზე.

თბილისი

პროექტის მონაწილეების თქმით, სამოქალაქო სექტორი ზედმეტად პოლიტიზებულია, რაც, ერთი მხრივ, იმას განაპირობებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არ არიან ღია ახალი წევრების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, ახალგაზრდებს სურვილი არ უჩნდებათ კონკრეტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგად ასოცირებულნი იყვნენ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან. ხშირია შემთხვევები, როცა პოლიტიკური აქტივისტები თავს ფსევდო სამოქალაქო აქტივისტებად წარმოაჩენენ, რაც ზიანს აყენებს მიუკერძოებელი სამოქალაქო აქტივისტების რეპუტაციას.

მიუხედავად იმისა, რომ ხარისხიან განათლებაზე წვდომა უფრო მეტად რეგიონების მასშტაბით მოიაზრება პრობლემურ საკითხად, ეს საკითხი დედაქალაქშიც აქტუალურია. დაბალი ხარისხის განათლება ყველა საფეხურზე დგას და საჭიროებს სიღრმისეულ ანალიზს.

რაც შეეხება თბილისში სექტორთშორის თანამშრომლობას, ამ მიმართულებით რამდენიმე ასპექტი გამოიყო: პირველ რიგში, რესპონდენტებს აქვთ განცდა, რომ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლობის კულტურა ძალიან დაბალია. მეორე მხრივ, საჯარო სექტორის მხრიდან არ არსებობს ანგარიშვალდებულება და პროცესების გამჭვირვალედ წარმართვის სურვილი. კურსდამთავრებულების აზრით, სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი ნაწილი პოლიტიზებულია და სხვადასხვა სარგებელზე არიან ორიენტირებულნი. ასეთი ტიპის ორგანიზაციები არ არიან ობიექტურები და კრიტიკული პოზიციებისგან თავს იკავებენ. ეს კი, საბოლოოდ, საზოგადოებაში მათდამი უნდობლობას აჩენს და მათ რეპუტაციას ლახავს.

გარდა ამისა, პრობლემურია არასამთავრობო და საჯარო სექტორებს შორის ერთმანეთის ნდობის საკითხი. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა აზრით, სამთავრობო უწყებებისთვის უმნიშვნელოვანესია წარსული გამოცდილება და იმის დანახვა, ესა თუ ის ორგანიზაცია რამდენად ასრულებს თავის თავზე აღებულ პასუხისმგებლობას.

> *„ზოგადად, ჩემი აზრით, სექტორთშორისი თანამშრომლობა ძაღიან დაბაღია. ასევე, ორგანიზაციების უმეტესობა პირად სარგებელზეა ორიენტირებული და არ გრძნობენ თავს ანგარიშვალდებულად საზოგადოების მიმართ. ეს პროექტი დამეხმარა იმის გააზრებაში, რომ საქართველოშიც არსებობს არაპარტიული, დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ ერთ სივრცეში შეკრიბონ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები და აუდიტორიას მიაწოდონ ობიექტური ინფორმაცია.“*
>
> *ექსპონდენტი, 27 წლის*

პროექტის გავლენა მონაწილეთა პიროვნულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებზე

წარმოდგენილ თავში განხილულია პროექტის გავლენა იმ რეგიონებში, სადაც კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფების ფორმატის დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუები. ქვემოთ მოცემულია ინტერვიუების ანალიზი, რომელიც აერთიანებს, როგორც სამოქალაქო, ასევე, სამთავრობო სექტორის მოსაზრებებს და პროექტის კურსდამთავრებულების შეხედულებებს საკვლევი საკითხის მიმართ.

პროექტის კურსდამთავრებულების თქმით, მათი შეხედულება საჯარო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით პოზიტიურად შეიცვალა. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტი აერთიანებდა, როგორც კერძო და არასამთავრობო, ასევე სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, უფრო ახლოს გასცნობოდნენ ერთმანეთის საქმიანობას, ემსჯელათ გარკვეული საკითხების შესახებ და თანამშრომლობის სურვილი სწორედ ამან განაპირობა. ყველა მონაწილე თანხმდება, რომ სოციალური კაპიტალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შენაძენი იყო, რაც პროექტმა მისცა. კონტაქტები მათ ეხმარებათ პროფესიული საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვაში. ჯგუფიდან რამდენიმემ ახალი სამუშაო ადგილის პოვნაც მოახერხა არსებული კონტაქტებისა და ჯგუფის სხვა წევრებისგან ინფორმაციის მიღებით.

გამომდინარე იქიდან, რომ პროექტის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ პრაქტიკულად ემუშავათ კონკრეტულ საკითხებზე, მათ განივითარეს ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები; შეიძინეს ჰიბრიდულ რეჟიმში ღონისძიებებისა და შეხვედრების დაგეგმვის, განხორციელებისა და პოლიტიკის დოკუმენტის წერის გამოცდილება.

პროფესიული განვითარების კუთხით, მომავალ ლიდერთა სკოლაში (ELS) მონაწილეობის პერიოდში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში, მათ საშუალება ჰქონდათ, ეთანამშრომლათ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ემუშავათ ჯგუფში, რომელიც სხვადასხვა ინტერესის თუ პროფესიის ადამიანს აერთიანებდა. ამ ყველაფერმა კი პროცესი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახადა. პოლიტიკის დოკუმენტის წერისას, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, უფრო ღრმად ეკვლიათ მათთვის საინტერესო საკითხი დარგის ექსპერტის დახმარებით და თავად წარემართათ კვლევის კომპონენტი. პროექტში მონაწილეობის სიკეთეებად მონაწილეებმა ახალი კონტაქტები დაასახელეს. ასევე, ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი პოლიტიკის დოკუმენტზე მიგნებების ადვოკატირების კუთხით, არის ის, რომ ქუთაისის მერიას წარედგინა ინიციატივა კარიერული დაგეგმვის სპეციალისტის შტატის საპილოტე რეჟიმში დამატების თაობაზე ქუთაისის რამდენიმე სკოლაში. შეთავაზებამ მოწონება დაიმსახურა და ახალი სასწავლო წლიდან რამდენიმე საპილოტე საჯარო სკოლაში დაინერგება ეს სერვისი.

პროექტის კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ინიციატივაში მონაწილეობით საშუალება ჰქონდათ, სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში განევითარებინათ ბლოგისა და პოლიტიკის დოკუმენტის წერის უნარ-ჩვევები. მათ აღნიშნეს, რომ გუნდური მუშაობა, ჯგუფის წევრების აზრის გათვალისწინება, საერთო გამოწვევაზე გადაჭრის გზების ძიება, კონკრეტული საკითხის შესახებ უფრო ღრმა ცოდნის მიღება დაეხმარა მათ პიროვნულ ზრდაში.

მონაწილეებმა, ასევე ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაში მათ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები დაეხმარათ. მონაწილეების თქმით, მათ საშუალება ჰქონდათ საკითხები განსხვავებული პერსპექტივიდან დაენახათ და მეტად თავდაჯერებულნი გამხდარიყ-ვნენ. პრეზენტაციისა და აუდიტორიასთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება დიდწილად განპირობებული იყო სამუშაო პროცესში სხვადასხვა აქტივობის განხორციელების გამოცდილებით.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროექტში მონაწილეობის შედეგად, გაიზარდა დაინტერესება სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ. მათ იპოვეს თავიანთი ინტერესის სფერო და ცოდნა გაიღრმავეს მრავალფეროვანი საკითხების მიმართ, დაწყებული რეგიონში არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და ქვეყნის უსაფრთხოების გამოწვევების ანალიზით, დამთავრებული გენდერული თანასწორობისა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებით. შედეგად, უფრო კრიტიკულად უდგებიან ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო თუ პოლიტიკურ პროცესებს. ზოგიერთი მონაწილისთვის, პროექტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ცნობიერების შეცვლის საფუძველიც კი აღმოჩნდა, მაგალითად, გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებით, მიღებული ინფორმაციის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადმოტანას ცდილობენ.

პროექტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სექტორთშორისი თანამშრომლობის კუთხითაც. ვინაიდან სკოლის ფარგლებში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ერთ სივრცეში შეიკრიბნენ და აუდიტორიას საშუალება ჰქონდა, სხვადასხვა მოსაზრებებს გასცნობოდნენ, ბევრმა მონაწილემ დაინახა, რომ შესაძლებელია ერთმანეთთან კონსტრუქციული დიალოგი და თანამშრომლობის გაგრძელება პროექტს დასრულების შემდეგაც.

მონაწილეებმა, რომლებმაც „მომავალ ლიდერთა სკოლის“ შემდეგ გააგრძელეს თანამშრომლობა „თემატური სამუშაო ჯგუფების“ ფარგლებში, აღნიშნეს, რომ ეს გამოცდილება კიდევ უფრო ძვირფასი და მრავალმხრივი იყო მათთვის. სამუშაო ჯგუფებში მუშაობამ მათ საშუალება მისცა, შეესწავლათ აქამდე ნაკლებად ცნობილი, თუმცა მათთვის საინტერესო თემა, ემუშავათ ჯგუფში და განევითარებინათ კვლევისა და ანალიტიკური წერის უნარ-ჩვევები. შედეგად, მონაწილეებმა დახვეწეს არამხოლოდ ლიდერული, ჯგუფში მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, არამედ ამ გამოცდილებამ ქცევის ცვლილება მოიტანა. ეს უკანასკნელი გულისხმობს შეძენილი უნარებისა და ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებას.

> *„სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის შედეგად, ახამხოლოდ დამოკიდებულება შემეცვალა გახემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ახამედ, უფრო მეტად გავიაზრე ნახჩენების მახთვის მნიშვნელობა და მუდმივად ვცდილობ პროფესიულ საქმიანობაში ავსახო ეს ასპექტი.“*
>
> *რესპონდენტი, 35 წლის*

მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ პროექტის წყალობით გაცილებით უფრო სიღრმისეულად გაეცნენ კონკრეტულ თემებს და უფრო მეტად შეუძლიათ გარკვეული საკითხების შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა. პროექტის შედეგად დარჩენილი რესურსი, სხვადასხვა მასალების სახით, ძალიან ძვირფასია თითოეული მონაწილისთვის და თვლიან, რომ სამომავლოდ აუცილებლად გამოადგებათ.

პროექტმა მონაწილეებს მოტივაცია გაუზარდა, რომ იყვნენ მეტად აქტიურები და ცვლილებებზე ორიენტირებულნი. თუმცა, მონაწილეთა აქტივიზმი უფრო სამოქალაქო საკითხების ადვოკატირების მიმართულებით გაღრმავდა, ვიდრე პოლიტიკური ჩართულობისკენ.

საინტერესო შენიშვნა იყო ისიც, რომ პროექტმა მონაწილეებს საშუალება მისცა, გაეაზრებინათ, რომ არსებობს არაპარტიული, დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ ისეთი ტრენინგებისა და შეხვედრების ორგანიზება, რომლებიც თავს უყრის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელს და, ამასთანავე, მონაწილეებს აწვდის მაქსიმალურად ობიექტურ ინფორმაციას. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის GIP-ის მიმართ ნდობა განსაზღვრა ამ ორგანიზაციის მიუკერძოებლობამ და პოლიტიკურად ნეიტრალურმა პოზიციამ.

ამ გავლენებზე საუბრისას ყველაზე ხშირად ანალიტიკური წერისა და ორგანიზატორული უნარ-ჩვევების განვითარება დასახელდა. პროექტის სხვადასხვა კომპონენტის შესრულებისას მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ემუშავათ ანალიტიკურ ბლოგებზე, მიეღოთ უკუკავშირი პროფესიონალი მკვლევრებისგან და თავიანთი ნაშრომები განეთავსებინათ პროექტის ვებგვერდზე. ამ გამოცდილების მიღებით რამდენიმე კურსდამთავრებულისთვის წერა სასიამოვნო პროცესი გახდა და აქტიურად აგრძელებს მუშაობას ბლოგებსა და სტატიებზე, რომლებიც სხვადასხვა ვებგვერდზე ქვეყნდება. წერის პრაქტიკა ახალგაზრდებს ასევე სამსახურებრივადაც დაეხმარათ, განსაკუთრებით საპროექტო განაცხადების მომზადებასა და დახვეწაში.

მონაწილეების დიდი ნაწილისთვის, პროექტი პირველი შესაძლებლობა იყო, რომელშიც საშუალება ჰქონდათ დამოუკიდებლად გაეწიათ ორგანიზება და განეხორციელებინათ აქტივობები.

ამასთანავე, პროექტმა მონაწილეებს შესძინა თანამოაზრეები, რომლებთან ერთადაც აქვთ მოტივაცია, დაგეგმონ საერთო აქტივობები და გააღრმაონ რეგიონული თანამშრომლობა.

ყველა მონაწილე პროექტის დასრულების შემდეგ თავს უფრო თავდაჯე-რებულად გრძნობს და დარწმუნებულია, რომ შეუძლია სასიკეთო ცვლილებებში მონაწილეობა.

> *„პროექტის შედეგად გავიაზრე, რომ თითოეულ ჩვენგანს დამოუკიდებლადაც შეუძლია ჩაიმე საკითხის დადებითად შეცვლა. მაგალითად, ჩემს სოფელში დიდი ხანი შიდა გზა იყო გაფუჭებული, რაც გადაადგილებას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად გადავწყვიტე, რომ ხელმოწერები შემეგროვებინა და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრობლემაზე ჩეაგირება მომეთხოვა. ჩემი ინიციატივით ამჟამად სოფლის მოსახლეობა სარგებლობს ახალი გზით.“*
>
> *რესპონდენტი, 32 წლის*

ამასთან, მთლიანი სასწავლო პროცესი დაეხმარა კურსდამთავრებულებს საკუთარი მოსაზრებების განმტკიცებაში და თუ ადრე მხოლოდ მონაწილეები იყვნენ ამა თუ იმ აქტივობის/ღონისძიების, ახლა უკვე ინიციატორებიც ხდებიან და სჯერათ, რომ საკუთარი ძალებით და თანამოაზრეების მხარდაჭერით შეუძლიათ კონკრეტული შედეგების მიღწევა.

პროექტმა მონაწილეებს საშუალება მისცა, უკეთ გარკვეულიყვნენ მათი, როგორც მოქალაქის უფლებებში და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით მოახერხეს ადგილობრივად ინიციატივების განხორციელება. კურსდამთავრებულებმა დახვეწეს პროექტის წერის უნარ-ჩვევები, აიმაღლეს კომპეტენცია იმ საკითხებზე, რომლებთანაც, შესაძლოა, მანამდე შეხება არ ჰქონდათ. საუბრისას მათ ასევე აღნიშნეს არაფორმალური განათლების მნიშვნელობა აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება, პერსონალურ უნარ-ჩვევებს, მონაწილეებმა ისაუბრეს, რომ მათ საშუალება ჰქონდათ, არა მარტო პროექტის პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში განევითარებინათ უნარ-ჩვევები, არამედ ჯგუფის წევრებისგან ესწავლათ ბევრი რამ. მაგალითად, ქვემო ქართლის ჯგუფი დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისგან, საინტერესო იყო სხვადასხვა ტრადიციების შესახებ ინფორმაციის მიმოცვლა. ჯგუფის მრავალფეროვნება პროექტის ერთ-ერთი დადებითი ასპექტი იყო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტმა კურსდამთავრებულებს მეტად გააქტიურებისკენ უბიძგა და რამდენიმე მათგანმა თავის რეგიონში მცირე მასშტაბის პროექტებიც განახორციელა, რომლებიც თემის გაძლიერებასა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე იყო ორიენტირებული. მონაწილეების ნაწილმა აღნიშნა, რომ სკოლის დასრულების შემდეგ, თავიანთ პროფესიულ საქმიანობებში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდნენ და, სამსახურის გარდა, დამატებით აქტივობებში ჩაერთნენ, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასა და კონკრეტულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისაკენ არის მიმართული.

> *პროექტმა ჩემი თვალსაწიერი უფრო გააფართოვა და მიბიძგა მეტად ჩავთუღიყავი თემის განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში. ამ მიზნით, ჩავეთე კამპანია „თარგმნე ფემინიზმში“ და მაღე საზოგადოება იხილავს ჩემს ნათარგმნ ფემინისტურ ტექსტს.*
>
> *რესპონდენტი, 35 წლის*

მნიშვნელოვანია პროექტში მოწვეული ტრენერების საკითხიც, რომლებმაც მონაწილეების განსაკუთრებული ნდობა დაიმსახურეს თავიანთი ობიექტურობისა და საკითხის სიღრმისეულად ცოდნის გამო. ინტერვიუების მიხედვით, სკოლის გარეთაც აგრძელებენ მათ მხარდაჭერას და საერთო პროექტებიც განახორციელეს.

> *„მომავალ ღიდეითა სკოლის“ ტრენეერებთან პროფესიული ურთიერთობა პროექტის მიღმაც გავაგრძელეთ. მაგალითად, ჩვენს საინიციატივო ჯგუფს ერთ-ერთი ტრენერი სიამოვნებით დათანხმდა, რომ ერთობლივი პროექტი მოგვემზადებინა და თანამშრომლობა გაგვეგრძელებინა.“*
>
> *რესპონდენტი, 27 წლის*

რესპონდენტები თვლიან, რომ პროექტის შემდეგ განვითარების საფეხურის სხვა დონეზე არიან, ვინაიდან სხვადასხვა სფეროში თეორიულ ცოდნასთან ერთად, უკვე პრაქტიკული გამოცდილებაც დაუგროვდათ.

საინტერესო ფაქტია ის, რომ რამდენიმე მონაწილეს სკოლის ფარგლებში განხილულმა საკითხებმა დაანახვა, თუ რა მიმართულება აინტერესებდა და შემდეგ პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის, კურსდამთავრებულთა საგრანტო კონკურსის ფარგლებში განახორციელა მცირე მასშტაბის პროექტი ამ საკითხზე. შემდეგ კი უკვე სამუშაო ჯგუფებში გააგრძელა ამ თემაზე მუშაობა.

დასკვნა

ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება ახალგაზრდების გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ჩართულობის წახალისების მიზნით. მონაწილეთა სრული უმრავლესობის თქმით, პროექტში მონაწილეობამ მათ მისცა თვალსაწიერის გაფართოების, ახალი ნაცნობების შეძენის და მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებმა რეგიონებში დაამყარეს მნიშვნელოვანი პროფესიული ურთიერთობები და თანამოაზრეებთან ერთად განახორციელეს რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა ინიციატივები პროექტის დასრულების შემდეგაც.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის კურსდამთავრებულთა პოლიტიკური აქტივიზმი დაბალია, ახალგაზრდების ნაწილმა მაინც მოახერხა, პოლიტიკური საქმიანობა დაეკავშირებინა პარტიულ პოლიტიკასთან, რაც, საერთო ჯამში, პროექტის პოზიტიურ გავლენად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მიუხედავად იმისა, რომ სექტორთშორისი თანამშრომლობის კუთხით სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული გამოცდილება არსებობს, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა. თავიანთი ძალებისა თუ რესურსების გათვალისწინებით, თითოეულმა სექტორმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონის განვითარებაში და კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში; ჩამოყალიბდეს თანამშრომლობის კულტურა და მსჯელობა პრობლემური საკითხების გარშემო. პირადი დაპირისპირება არ უნდა ახდენდეს გავლენას თანამშრომლობაზე და თემისთვის კონკრეტული პრობლემების მოგვარების პროცესში პერსონალური დამოკიდებულებები უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს. მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების როლი ადგილობრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერების კუთხით, რათა მათ ახალგაზრდებს შესთავაზონ მეტად მდგრადი, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული და მრავალფეროვანი პროგრამები. გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე, განსაკუთრებულ ყურადღება სჭირდება ახალგაზრდების პოლიტიკური აქტივიზმის წახალისებაზე ორიენტირებული ინიციატივებს.

რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

- ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა შესაბამისი მექანიზმების შემუშავების გზით. მაგალითად, ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა /განვითარება და მათი რესურსებით უზრუნველყოფა, ახალგაზრდული ბიუჯეტის გაზრდა მუნიციპალიტეტებში, საკრებულოს სხდომებსა და საჯარო განხილვებში მათი მონაწილეობის წახალისება.

- განათლებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა კომუნიკაციის სწორი არხების – შესაბამისი ლექსიკის, მიდგომის, პლატფორმის გამოყენებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მეტი უშუალო კომუნიკაცია ახალგაზრდებთან.

- ინფრასტრუქტურის განვითარება – გზებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება, განსაკუთრებით, – მაღალმთიან რეგიონებში. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი ახალგაზრდებისთვის, თუნდაც ერთჯერადი სუბსიდირების პროგრამის გზით.

- გარდა რეკრეაციულ/სპორტული აქტივობებისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მეტი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება ადგილობრივ დონეზე.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება – ფავორიტიზმის შესუსტება; სხვა სექტორის კონკურენტად აღქმის მენტალიტეტის შეცვლა მეტი საერთო ინიციატივების განხორციელების გზით.

- ახალგაზრდებთან დაკავშირებით საერთო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

- წარმატებული ახალგაზრდებისთვის ადგილობრივად მომხიბვლელი სამუშაო პირობების შეთავაზება, რათა მათ არ დასჭირდეთ რეგიონის დატოვება ან ჰქონდეთ რეგიონში დაბრუნების მოტივაცია.

- ერთი რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება.

- რეგიონებს შორის საუკეთესო გამოცდილებების გაზიარების პლატფორმის შექმნა და პერიოდულად საერთო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის

- მდგრადი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება – ერთჯერადი აქტივობების ნაცვლად ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან შედეგებზე.

- რეგიონში მცხოვრები NEET ახალგაზრდების მეტად ჩართვა აქტივობებში და მათი მაქსიმალურად დაინტერესება სხვადასხვა მიმართულებით. მათთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება.

- მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული საერთო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება.

რეკომენდაციები

- აპოლიტიკური, აპარტიული და ნეიტრალური პოზიციების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება, რომლებთანაც აფილირება ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური იარლიყების მიწებებას არ გამოიწვევს.

- კვლევაზე დაფუძნებული რეალური საჭიროებების გათვალისწინებით პროგრამების შემუშავება, რომელთა დაგეგმვაშიც ჩართული იქნება არა მხოლოდ „ცენტრი", არამედ ადგილობრივი ორგანიზაციები და უშუალოდ ახალგაზრდები.

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის რეგიონული პლატფორმის ჩამოყალიბება რესურსების კონსოლიდირების მიზნით.

კერძო სექტორისთვის

- კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება შემდეგი გზებით:

- ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამების შემუშავება და დასაქმების ხელშეწყობა.

- ადგილობრივი ბიზნესის მხრიდან ე.წ. NEET ახალგაზრდებზე მორგებული პროგრამების შემუშავება, რომლებიც მათ დაეხმარება სხვადასხვა სფეროში გამოცდილების მიღებაში.

- ადგილობრივი ახალგაზრდა მეწარმეების ხელშეწყობა – ტრენინგების ორგანიზება მათთვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით.

- სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება – ადგილობრივი ახალგაზრდების პროფესიულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების / აქტივობების ფინანსური ხელშეწყობა.

- კვალიფიციური ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის მისაღები სამუშაო პირობების შეთავაზება, ასევე, კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სასტიპენდიო ფონდის შექმნა, რომელიც წაახალისებს მათ, ჩააბარონ ადგილობრივ უნივერსიტეტებში.

დონორებისთვის

- საჭიროებების კვლევის ჩატარება, სანამ კონკრეტული საგრანტო პროექტის შეთავაზება მოხდება სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორისთვის ადგილობრივ დონეზე. რელევანტური თემატური ინიციატივების შეთავაზება, რომლებიც მდგრადია და ორიენტირებულია რეალურ ცვლილებებზე. პრიორიტეტული თემების სწორად განსაზღვრა რეგიონის კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

- განხორციელებული აქტივობების ხარისხის კონტროლი – შესაბამისი აქტივობებზე არა მხოლოდ რიცხვებსა და ბენეფიციარების რაოდენობაზე ყურადღების გამახვილება, არამედ შედეგზე ორიენტირებაც.

- საბაზისო საჭიროებების გადაჭრა და ამგვარად დახმარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სანამ ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე მოხდება აქცენტის გაკეთება.

- მტკიცებულებაზე დაფუძნებულ კვლევებში ინვესტიცია ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დინამიკის, საჭიროებებისა და დამოკიდებულებების კვლევის მიზნით.

ბიბლიოგრაფია

- ბეჟანიშვილი ა., ზაალიშვილი ლ., მაჭარაშვილი ლ., ჩხეიძე შ., ხურციძე ს. 2017, „სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისთვის“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია: https://cure.erasmus-plus.org.il/plugin-file.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_ Research_report_GEO.pdf ბოლოს ნანახია: 20 იანვარი, 2023.

- დემოკრატიის ეროვნული ინსტიტუტი, 2022, „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, ხელმისაწვდომია: https://www.ndi.org/sites/default/files/Taking%20-Georgians%E2%80% 99%20pulse%20Findings%20from%20August%202022%20face%20to%20-face%20survey%20% 28Georgian%29.pdf
ბოლოს ნანახია: 20 იანვარი, 2023.

- ევროპის საბჭო, „რა არის აქტივიზმი?“ ხელმისაწვდომია: https://www.coe.int/en/web/compass/hre-and-activism ბოლოს ნანახია: 20 იანვარი, 2023.

- კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი (CRRC), 2022, შეფასების ანგარიში „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“

- კვაშილავა ბ., ბარქაია ზ., გოგილაშვილი ხ. 2019, „საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასება“, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) სამოქალაქო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საქართველოს მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, მარტი, 2023

- ხელმისაწვდომია: https://www.iri.org/resources/national-public-opinion-survey-of-residents- of-georgia-march-2023 / ბოლოს ნანახია 3 მაისი, 2023.

- საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი (ACCESS), ხელმისაწვდომია: https://ewmi-activism.org/

- საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2020, „ახალგაზრდული მანიფესტი – იდეები საქართველოში ახალგაზრდების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისებისთვის“, ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/publication-post/youth-manifesto/ ბოლოს ნანახია: 17 თებერვალი, 2023.

- ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES), 2017, „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 – საქართველო“, ხელმისაწვდომია: https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18399.pdf ბოლოს ნანახია: 20 იანვარი, 2023.

- შენგელია ლ., 2020, „სამოქალაქო აქტივიზმი – როცა საბოლოო მიზანთან ახლოს არ ვართ“, ხელმისაწვდომია: http://www.tavisupali.ge/sazogadoeba/2722-samoqalaqo-aqtivizmi-roca-saboloo-mizanthan-akhlosac-ar-varth.html?lang=ka-GE ბოლოს ნანახია: 20 იანვარი, 2023.

დანართები

დანართი 1. ფოკუსჯგუფის კითხვარი

ნაწილი I. სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმის ცნების განსაზღვრა

ფასილიტატორი

კითხვები:

1. განსაზღვრეთ ერთი სიტყვით, რასთან ასოცირდება თქვენთვის სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმი? (თუ ვერ დაასახელეს, შესთავაზე ვარიანტები).

1.1. რა ფორმით ყოფილხართ ჩართული სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმში?

1.2. რატომ ხართ/ყოფილხართ ჩართული? რა არის/იყო თქვენი მოტივაცია?

1.3. (მათ, ვინც არ ყოფილა ჩართული) რატომ არ ხართ/ყოფილხართ ჩართული?

1.4. რა უშლის ხელს რეგიონში სამოქალაქო აქტივიზმის წახალისებას?

სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმის ფორმები:

ა. პეტიციის მომზადება, ბ. საპროტესტო აქციის ორგანიზება/დასწრება გ. საჯარო განხილვებში მონაწილეობა (მაგ. საკრებულოს სხდომებზე დასწრება) დ. საგანმანათლებლო, თემის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ინიციირება ე. ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვა ვ. ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების შექმნა/ორგანიზაციის დაარსება; ზ. პოლიტიკურ პარტიებთან აფილირება რაიმე კუთხით (პარტიაში გაწევრიანება; წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა; დონაცია ა.შ.); თ. პოლიტიკის/ცვლილებების ინიციირება, (განხორციელება ან რეკომენდაციის სახით შემუშავება ადგილობრივი მთავრობისთვის).

დამატებითი კითხვები (ვიყენებთ იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორიისგან მთავარი საკვლევი კითხვების პასუხები მწირია).

- რა ასაკში უნდა დაიწყოს ადამიანმა სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმში ჩართვა?

- უნდა ისწავლებოდეს აქტივიზმი ფორმალური/არაფორმალური განათლების დროს?

- სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმი რაიმე მოვლენას უკავშირდება და შეიძლება, ისწავლებოდეს, თუ ადამიანის პიროვნულ მახასიათებლებთანაა დაკავშირებული (მაგ. შინაგანად აქტიური ადამიანი)?

- რა ტიპის პრობლემების/გამოწვევების დროს აქტიურდება სამოქალაქო /პოლიტიკური აქტივიზმი?

ნაწილი II. პროექტის გავლენა და შედეგი – ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება, რომელიც მონაწილეებმა პროექტიდან მიიღეს.

ფასილიტატორი

კითხვები:

1. ELS-ში მონაწილეობამდე რაში გამოიხატებოდა თქვენი სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმი?

2. რა კუთხით დაგეხმარათ ჩვენი პროექტი სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმის კუთხით უფრო მეტად გააქტიურებაში? (დააკონკრეტე პასუხი, ცოდნა, უნარ-ჩვევები ა.შ.)

3.თქვენი აზრით, განსხვავებული იქნებოდა თუ არა თქვენი ცხოვრება /საქმიანობა/ უნარები, ჩვენს პროექტში რომ არ მიგეღოთ მონაწილეობა?

3.1 თუ კი, შეგიძლიათ დაასახელოთ, როგორ?

ა. თავდაჯერებულობა, თამამად აზრის დაფიქსირება, ბ. ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება/საჯარო გამოსვლა, გ. კონკურენტუნარიანობა (ფასილიტატორი ჩამოთვლის, თუ მონაწილეებს უჭირთ ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების დასახელება).

დამატებითი კითხვები:

- თუ დაინახეთ რაიმე უნარ-ჩვევა/ინფორმაცია სხვა კუთხით ტრენინგების ან სამუშაო ჯგუფებში მუშაობის დროს?

- რა პიროვნული გამოწვევების გადალახვა მოგიწიათ სკოლაში/სამუშაო ჯგუფებში ჩართულობის დროს?

ნაწილი III. სექტორებს შორის თანამშრომლობის არსებული რეალობა და სამომავლო პერსპექტივები

ფასილიტატორი

კითხვები:

1. რამდენად უჭერს მხარს ადგილობრივი სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო სექტორები თქვენი სამოქალაქო/პოლიტიკური აქტივიზმის წახალისებას? რა ფორმით გამოიხატება ეს?

2. გაიხსენეთ სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობის პრეცედენტები (დაასახელონ კონკრეტული ორგანიზაციები/ინსტიტუტები).

2.1.თუ შეიცვალა თანამშრომლობის სიხშირე/ხარისხი ELS-მდე და შემდეგ, რამ განაპირობა ეს ცვლილება?

3. როგორ შეიძლება, სხვადასხვა სექტორი მეტად იყოს ჩართული და აქტიური ადგილობრივ დონეზე? (საჭიროა, რაც შეიძლება, კონკრეტული პასუხები).

ა. რესურსებით უზრუნველყოფა (ფინანსური და ადამიანური), ბ. სხვადასხვა პლატფორმების შეთავაზება, გ. თანამშრომლობის სურვილი (აქტივობების დაგეგმვა ერთად).

დამატებითი კითხვები:

- მიმართეთ თუ არა რომელიმე სექტორს საკუთარი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით?

- შეიცვალა თუ არა სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობის სიხშირე/პროდუქტიულობა ELS-ის დამთავრების შემდეგ?

ნაწილი IV. ახალგაზრდების შიდა მიგრაციის მიზეზები, მახასიათებლები და ხარისხი რეგიონულ დონეზე

ფასილიტატორი

კითხვები:

1. თქვენი დაკვირვებით, რჩებიან ახალგაზრდები რეგიონში სკოლის დასრულების შემდეგ? რა უბიძგებთ მათ დიდ ქალაქებში მიგრაციისკენ?

1.1. როგორ შეიძლება სამოქალაქო სექტორმა წაახალისოს ახალგაზრდები, რომ ისინი დარჩნენ რეგიონში?

1.2. როგორ შეიძლება სამთავრობო სექტორმა წაახალისოს ახალგაზრდები, რომ ისინი დარჩნენ რეგიონში?

1.3. როგორ შეიძლება კერძო სექტორმა წაახალისოს ახალგაზრდები, რომ ისინი დარჩნენ რეგიონში?

2. გაიხსენეთ თქვენი თავი სკოლის დასრულების შემდეგ. როგორ გესახებოდათ თქვენს ქალაქში/რეგიონში დარჩენის პერსპექტივა?

3. თქვენი აზრით, დგას ახალგაზრდების ურბანული მიგრაციის პრობლემა საქართველოში?

3.1.თუ კი, რატომ ტოვებენ ახალგაზრდები რეგიონებს?

4. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდას, რომელსაც სურს რეგიონში დარჩენა, შეექმნას ამის შესაძლებლობა?

4.1. ვის მიერ?

დამატებითი კითხვები:

- ახალგაზრდები, რომლებმაც განათლება სხვა ქალაქში მიიღეს და დაბრუნდნენ რეგიონში და მუშაობენ, რა იყო მათთვის მოტივაცია?

- გრძელვადიანი პერსპექტივით რამდენად ხედავენ მათ განვითარებას რეგიონში?

- რა ფაქტორები უშლით ხელს თავიანთ რეგიონში დაბრუნებაში?

გთხოვთ, კომენტარის სახით გაგვიზიარეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის თქმის საშუალება არ მოგეცათ ფოკუსჯგუფის ინტერვიუს დროს.

მონაწილეებს გადაუხადეთ მადლობა და დაემშვიდობეთ!

დანართი 2. ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი

- GIP-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კვლევის მიზნების გაცნობა.
- მოგვიყევით ორგანიზაციის საქმიანობაზე? რა ძირითადი მიმართულებით მუშაობთ?
- როგორ ფიქრობთ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ახალგაზრდები თქვენს რეგიონში?
- რომელი სექტორია ამ გამოწვევების მოგვარებაზე პასუხისმგებელი? თქვენს როლს სად ხედავთ გამოწვევების მოგვარების კუთხით?
- რა სახის პროექტებს/პროგრამებს ახორციელებთ ამჟამად ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმის განვითარების მიმართულებით?
- თვლით თუ არა, რომ ახალგაზრდების მიგრაცია პრობლემაა? რა შეიძლება იყოს გამომწვევი მიზეზი(ებ)ი?
- როგორ არის შესაძლებელი, თქვენმა მსგავსმა ორგანიზაციებმა ახალგაზრდების ურბანული მიგრაცია შეამციროს?

დამატებითი კითხვა:

- როდის დაიწყეთ ახალგაზრდების თემატიკაზე მუშაობა?

- რატომ აირჩიეთ ეს სფერო სამუშაოდ?

დანართი 3. ელექტრონული კითხვარი

სახელი:.....

გვარი:.....

რეგიონი: .....

ასაკი:

- 18-25
- 26-30
- 31-35
- 35+

ELS-ში მონაწილეობამდე

გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი საქმიანობა ELS-ში მონაწილეობამდე და შესაბამისად მონიშნეთ ეხთი ან ხამდენიმე პასუხი.

- ვიყავი პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და ვიღებდი მონაწილეობას პოლიტიკურ კამპანიაში;
- დავაარსე არასამთავრობო ორგანიზაცია ან/და საინიციატივო ჯგუფი;
- დავგეგმე ან მივიღე მონაწილეობა ადვოკატირების კამპანიაში;
- მივიღე მონაწილეობა საჯარო განხილვაში ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმით;
- განვახორციელე ან/და მივიღე მონაწილეობა წარმატებული აქტივობის დაგეგმვაში, რომელიც მიმართული იყო თემის გაძლიერებისკენ.

გთხოვთ, ზემოთ მონიშნული პასუხები მოკლედ აღწეხოთ და პაიტიული საქმიანობის შემთხვევაში მიუთითოთ კონკხეტული პაიტია.

ELS-ში მონაწილეობის ჯხოს და შემდეგ

გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი საქმიანობა ELS-ში მონაწილეობისას და შემდეგ, შესაბამისად მონიშნეთ ეხთი ან ხამდენიმე პასუხი.

- *ვიყავი პოლიტიკუხი პაიტიის წევხი ან/და ვიღებდი მონაწილეობას პოლიტიკუხ კამპანიაში;*
- *დავაახსე ახასამთავხობო ოხგანიზაცია ან/და საინიციატივო ჯგუფი;*
- *დავგეგმე ან მივიღე მონაწილეობა ადვოკატიხების კამპანიაში;*
- *მივიღე მონაწილეობა საჯახო განხილვაში ან/და ადგილობხივი თვითმმახთველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩახთულობის სხვადახვა ფოხმით;*
- *განვახოხციელე ან/და მივიღე მონაწილეობა წახმატებული აქტივობის დაგეგმვაში, ხომელიც მიმახთული იყო თემის გაძლიეხებისკენ.*

გთხოვთ, ზემოთ მონიშნული პასუხები მოკლედ აღწეხოთ და პაიტიული საქმიანობის შემთხვევაში მიუთითოთ კონკხეტული პაიტია.

გთხოვთ, გაიხსენოთ და გაგვიზიახოთ თქვენი წახმატების ისტოხია ELS-ში მონაწილეობის შემდეგ (გთხოვთ, აღნიშნეთ, თუ თქვენი აქტივობის სამიზნე აუდიტოხია გახლდათ ხომელიმე მოწყვლადი ჯგუფი).

კომენტარი

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS